საქართველოს კანონი

„ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39, 19.07.2010, მუხ. 235) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-6 მუხლის:

ა) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სააგენტოს სამოქმედო ტერიტორიაზე მის მიერ შესაბამისი აქტით ან ხელშეკრულებით მინიჭებული ტყითსარგებლობის უფლების განხორციელების კონტროლი და ამ მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი^{1}“ ქვეპუნქტი:

„ი^{1}) სააგენტოს სამოქმედო ტერიტორიაზე უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტის აღმოჩენისას სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსათვის ან სხვა უფლებამოსილი ორგანოსათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება; საჭიროების შემთხვევაში უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტის გამოვლენის პროცესში მონაწილეობა, შესაბამისი აქტის შედგენა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშება;“.

3. მე-19 მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სააგენტოს შეიარაღებაში არსებული სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის ნუსხას ამტკიცებს მინისტრი.“.

5. 21-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

ქუთაისი,

26 დეკემბერი 2018 წ.

N4148-რს